



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანგარიში

I კვარტალი

თბილისი

2019

სარჩევი

ახალი და მიმდინარე ამბები	-1
მედია და კომუნიკაცია	- 6
მედიაწარმოება	-24
ტექნიკური უზრუნველყოფა	-33
იურიდიული სამსახურის ანგარიში	-41
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	-53
„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არქივი	-54
ფინანსები და ადმინისტრაცია	-58

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოგი

1. მოკლე მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ცესკო-მ მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში შუალედური არჩევნები დანიშნა. პარალელურად ქვეყნის ხუთ ოლქში მერის რიგგარეშე არჩევნებიც იმართება. საარჩევნო პერიოდში *პირველი არხის* საინფორმაციო სამსახური ყოვლისმომცველად და დაბალანსებულად აშუქებს წინასაარჩევნო კამპანიას.

საანგარიშო პერიოდში *პირველმა არხმა* მაყურებელს შესთავაზა ახალი ანალიტიკური პროგრამა *პირველი აუდიტორია*. ეს პროექტი ორიენტირებულია ახალგაზრდობისთვის აქტუალური საკითხების განხილვაზე. ასევე დაიწყო ახალი რადიოპროექტი *მსოფლიო ამბები*.

ცალკე აღსანიშნავია პროექტი *მრავალფეროვანი საქართველო*. რომლის ფარგლებშიც აზერბაიჯანულ და სომხურენოვანმა ინტერნეტ-ტელევიზიებმა *Birinci Kanal* (პირველი არხი) და *Առաջին Ալիք* (პირველი არხი) დაიწყეს პროექტი *კვირის რეპორტაჟი* და *შაბათ ერეკო (შაბათის საღამო)*. გაიზარდა აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი საინფორმაციო გამოშვებების ინტენსივობა. ამავე პროექტის ფარგლებში სატელევიზიო ტრანსლირებისას ხდება *მოამბის* 21-საათიანი გამოშვების სინქრონული თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ციფრული მაუწყებლობის წყალობით აუდიტორიისთვის *მოამბე* სამივე ენაზე ხელმისაწვდომია.

პროექტის *მრავალფეროვანი საქართველო* ფარგლებში ასევე მზადდება პროგრამები აზერბაიჯანულენოვანი *მოამბე 19:00 საათზე* და *ხაზინა (საგანძური)*, სომხურენოვანი *მოამბე 19:00 საათზე*, *განძარან (საგანძური)* და *გუნეყ აშხარკ (ფერადი სამყარო)*. მზადდება რეპორტაჟები და დოკუმენტური მასალები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში აქცენტი გაკეთდა ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე. ამავე დროს, გაშუქდა ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული მოვლენა.

საანგარიშო პერიოდში გასული გადაცემების რაოდენობა ასე გამოიყურება:

- საქართველოს პირველი არხი
 - მოამბე - დღის თემა - 10
 - აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად - 10
 - კვირის ინტერვიუ - 10
 - ახალი კვირა - 12
 - 42° პარალელი - 10
 - თავისუფალი ხედვა - 10
 - ნაშუადღევს - 60
- საქართველოს რადიო
 - ღია სტუდია - 58
 - მსოფლიო ამბები - 12

- *ესტაფეტა* - 68
- *ჩვენი საქართველო* - 12
- *Birinci Kanal* (პირველი არხი - აზერბაიჯანულენოვანი ინტერნეტ-ტელევიზია)
 - *ხაზინა (საგანძური)* - 3
 - *კვირის რეპორტაჟი* - 1
- *Uzunluq Sıhhi* (პირველი არხი - სომხურენოვანი ინტერნეტ-ტელევიზია)
 - *განძარან (საგანძური)* - 3
 - *გუნეყ აშხარკ (ფერადი სამყარო)* - 5
 - *შაბათ ერეკო (შაბათის საღამო)* - 1
 - *კვირის რეპორტაჟი* - 3

2. სიახლეები

2.1. შუალედური არჩევნები 2019



საანგარიშო პერიოდში ცესკო-მ მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში შუალედური არჩევნები 2019 წლის 19 მაისისთვის დანიშნა. არჩევნების ჩატარება მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც ამ ოლქის ყოფილმა მაჟორიტარმა სალომე ზურაბიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. 25 მარტიდან *მოამბე* პარლამენტის შუალედური არჩევნების მონაწილეებს ეთერს უთმობს. ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა 12-მა

კანდიდატმა.

შუალედური არჩევნების პარალელურად ქვეყნის ხუთ ოლქში მერის რიგგარეშე არჩევნებიც უნდა გაიმართოს. ამავე დღეს იგეგმება საკრებულოების შუალედური არჩევნების ჩატარება. *პირველი არხი* ამ შემთხვევაშიც ეთერს მერობის ყველა კანდიდატს შესთავაზებს.

საარჩევნო პერიოდში *პირველი არხი* საინფორმაციო სამსახური განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს.

2.2. პირველი აუდიტორია



საანგარიშო პერიოდში *პირველმა არხმა* მაყურებელს შესთავაზა ახალი პროგრამა *პირველი აუდიტორია*. პროგრამა ეთერშია ყოველ ხუთშაბათს, 22:00 საათზე. გადაცემის წამყვანია გიორგი გვიმრაძე.

პროგრამა ორიენტირებულია ახალგაზრდა აუდიტორიაზე. *პირველი აუდიტორია* ახალგაზრდებთან ერთად განიხილავს აქტუალურ საკითხებსა და პრობლემებს. გადაცემის მონაწილეები ცდილობენ მოძებნონ პრობლემების გადაჭრის გზები.

2.3. მსოფლიო ამბები

საანგარიშო პერიოდში საქართველოს რადიოს ეთერში დაიწყო ყოველკვირეული ანალიტიკური პროგრამა *მსოფლიო ამბები*. გადაცემა წარმოადგენს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვასა და ანალიზს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ექსკლუზიური ინტერვიუები უცხოელ ექსპერტებთან, პოლიტიკოსებთან და სამხედროებთან. პროექტი



მულტიმედიურია და ამ გადაცემის მასალები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს *პირველი არხის* ინტერნეტ პლატფორმისთვის.

2.4. მრავალფეროვანი საქართველო

საანგარიშო პერიოდში პროექტმა *მრავალფეროვანი საქართველო* აზერბაიჯანულ და სომხურენოვან აუდიტორიას მნიშვნელოვანი სიახლეები შესთავაზა. საუბარია აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი ინტერნეტ-ტელევიზიების *Birinci Kanal* (პირველი არხი) და *Առաջին ԱԿԲ* (პირველი არხი) პროგრამებზე.

2019 წლიდან პროგრამას *მოამბე აზერბაიჯანულ ენაზე 19:00* საათზე შაბათის გამოშვება დაემატა. დღის შემაჯამებელი გამოშვების წამყვანები არიან მაუწყებლის აზერბაიჯანულენოვანი თანამშრომლები. *მოამბე აზერბაიჯანულ ენაზე* პირდაპირ ეთერში გადის 1TV.ge -სა და facebook -გვერდზე. ყველა გამოშვების ჩანაწერი შეგიძლიათ იხილოთ 1TV.ge-ზე (<https://1tv.ge/az/show/moambe-1/>).

შაბათის გამოშვება ასევე დაემატა პროგრამას *მოამბე სომხურ ენაზე 19:00* საათზე. დღის



შემაჯამებელი გამოშვების წამყვანები არიან არხის სომხურენოვანი თანამშრომლები. *მოამბე სომხურ ენაზე* პირდაპირ ეთერში გადის 1TV.ge -სა და facebook-გვერდზე. ყველა ჩანაწერის ნახვა შეგიძლიათ 1TV.ge -ზე (<https://1tv.ge/am/show/moambe-am/>).

იანვრიდან ორივე ინტერნეტ-არხზე საინფორმაციო გამოშვება გადის ყოველ საათში.

პირველ კვარტალში აზერბაიჯანულ და სომხურენოვანმა ინტერნეტ-ტელევიზიებმა დაიწყეს პროექტი *კვირის რეპორტაჟი*. პროგრამის ფარგლებში საინტერესო ადამიანებსა და მოვლენებზე სიუჟეტებს ამზადებენ *მრავალფეროვანი საქართველოს* ჟურნალისტები. *კვირის რეპორტაჟი* ინტერნეტ-არხებზე გადის ყოველ კვირას - 20:00 საათზე. პროგრამის ქრონომეტრაჟია 10 წუთი. *კვირის რეპორტაჟი* პირდაპირ ეთერში გადის ვებგვერდზე 1TV.ge და facebook-გვერდზე. ყველა ჩანაწერი შეგიძლიათ იხილოთ 1TV.ge -ზე (აზერბაიჯანული გამოშვებები - <https://1tv.ge/az/show/heftenin-reportaji/>, სომხური გამოშვებები - <https://1tv.ge/am/show/davith-hakobyani-kiraknorya-reportazeh/>).

სომხურენოვანმა ინტერნეტ-ტელევიზიამ *Առաջին Ալիք* (პირველი არხი) დაიწყო ყოველკვირეული პროგრამა *შაბათ ერეკო (შაბათის საღამო)*. კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამის ქრონომეტრაჟია 15 წუთი. პროგრამა ყოველ შაბათს 20:00 საათზე გადის ვებ-გვერდზე 1TV.ge და facebook-ის მეშვეობით. გადაცემის ყველა გამოშვება თავსდება 1TV.ge -ზე (<https://1tv.ge/am/show/shabath-erekoyan/>).

3. გაშუქებული ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემები

ახალი და მიმდინარე ამბების სატელევიზიო პროგრამები *მოამბე 21:00 საათზე*, *მოამბე - დღის თემა*, *აქტუალური თემა მკა ცინცაძესთან ერთად*, *კვირის ინტერვიუ*, *ახალი კვირა*, *თავისუფალი ხედვა* და *42° პარალელი* გამოკვეთილად ორიენტირებულია ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე.

საანგარიშო პერიოდში ანალიტიკურ გადაცემებს შეემატა ყოველკვირეული ტელე და რადიოპროგრამები *პირველი აუდიტორია* და *მსოფლიოს ამბები*, რომლებიც გვთავაზობს მთავარი თემების გარშემო განსხვავებულ პოზიციებს, მსჯელობას და საინტერესო რუბრიკებს.

არამეინსტრიმული თემატიკა ტრადიციულად შუქდება *საქართველოს რადიოს* ისეთ გადაცემებში, როგორებიცაა- *ჩვენი საქართველო* და *ღია სტუდია*.

ცალკე აღსანიშნავია პროექტი *მრავალფეროვანი საქართველო*. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ენებზე მზადდება რეპორტაჟები და დოკუმენტური მასალები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპროდუქცია ითარგმნება ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

მრავალფეროვანი საქართველოს ფარგლებში, აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ინტერნეტ-ტელევიზიები *Birinci Kanal* (პირველი არხი) და *Առաջին Ալիք* (პირველი არხი) ვებ პორტალზე 1tv.ge 12-საათიანი უწყვეტი პირდაპირი ეთერით მაუწყებლობს. ყოველ საათში გადაიცემა საინფორმაციო გამოშვებები. მზადდება პროგრამები - აზერბაიჯანულენოვანი *მოამბე 19:00 საათზე*, *კვირის რეპორტაჟი* და *ხაზინა (საგანძური)*, სომხურენოვანი *მოამბე 19:00 საათზე*,

კვირის რეპორტაჟი, განძარან (საგანძური), გუნეყ აშხარჰ (ფერადი სამყარო) და შაბათ ერეკო (შაბათის საღამო).

პროექტის *მრავალფეროვანი საქართველოს* მიზანია საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობა, მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლება, მრავალფეროვან კულტურათა დიალოგის და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

(საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის მიერ გაშუქებული ექსლკუზიური, საგამოძიებო და არამეინსტრუმული თემების ნაწილის ჩამონათვალი იხილეთ დანართის სახით.)

4. დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები

მთავარი (Главное) - ყოველდღიური რუსულენოვანი გადაცემა. პროგრამა წარმოადგენს *რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებისა* და *ამერიკის ხმის* ერთობლივ პროექტს, რომელიც ხორციელდება საქართველოში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდავეთსა და უკრაინაში მოქმედ მაუწყებლებთან თანამშრომლობით.

5. სამომავლო გეგმები

პირველი არხი იწყებს ახალ ტელეპროექტს *ბიზნესპარტნიორი*. გადაცემა ეთერში ყოველ სამუშაო დღეს, 15:00 საათიანი „მოამბის“ დამთავრებისთანავე გავა.



პროექტის მიზანია აუდიტორიას მიაწოდოს ყველაზე ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და ბიზნეს აქტივობებზე.

საკანონმდებლო რეგულაციები, დასაქმების ბაზარი, საინვესტიციო გარემო, სიახლეები და ანალიზი, რა უშლის ხელს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას, როგორ ესმის ხელისუფლებას დამსაქმებელთა და დასაქმებულთა პრობლემები და რას აკეთებს მათ მოსაგვარებლად - ეს ყველაფერი ელოდება მაყურებელს გადაცემაში *ბიზნესპარტნიორი*.

გადაცემის პირველ ნაწილში მაყურებელი შეიტყობს ბიზნესისა და ეკონომიკის მნიშვნელოვან სიახლეებს, გადაცემის მეორე ნაწილში კი უკვე სტუმრების მონაწილეობით შეჯამდება დღისა და კვირის მნიშვნელოვანი სიახლეები.

მედია და კომუნიკაცია

წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს 2019 წლის I კვარტლის განმავლობაში მედიისა და კომუნიკაციის საქმიანობის შემაჯამებელ ანგარიშს.

○ ცვლილებები ბადეში

საანგარიშო პერიოდში, პირველი არხის საეთერო ბადეში იყო მნიშვნელოვანი სიახლეები. კერძოდ, 2019 წლის პირველ კვარტალში, ეთერში ჩაეშვა რამდენიმე გადაცემა, მათ შორის, მეგა-შოუ “საქართველოს ვარსკვლავი”:

“საქართველოს ვარსკვლავი” - გადაცემა ეთერში შევიდა 5 იანვარს, დასრულდა 3 მარტს. სულ 9 გადაცემა. საეთერო ბადეში განთავსდა შაბათის 22:00 საათიან ზოლში.

თოქ-შოუ „პირველი აუდიტორია“ -გადაცემა, 28 თებერვლიდან ეთერში გადის კვირაში ერთხელ. ქრონომეტრაჟი 56 წთ. ბადეში განთავსების ადგილი ხუთშაბათი, 22:00 სთ.

„ღამის შოუ პირველზე“ - გადაცემა ეთერში გადის 14 თებერვლიდან, კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, 23:00 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 56 წთ.

დავით ევგენიძის საავტორო გადაცემა - „მუსიკის 12 მოციქული“ - გადაცემა ეთერში შევიდა 24 იანვარს. პროექტი განთავსებულია, როგორც სატელევიზიო, ისე რადიოს საეთერო ბადეში. პირველი არხის საეთერო ბადეში განთავსებულია ხუთშაბათს, კვირაში ერთხელ, 00:00 სთ-ზე.

“დოსიე“- პაატა ქურდაძის საავტორო გადაცემა, რომელიც შედგება წამყვანის საავტორო ტექსტისგან და დოკუმენტური ფილმისგან. გადაცემა ეთერში შევიდა 19 თებერვალს. ბადეში განთავსების დღე სამშაბათი, 23:30 საათი (კვირაში ერთხელ).

ტელესერიალი „იდეალური დედა“ - სერიალი ეთერში შევიდა 4 მარტს. ბადეში

განთავსებულია ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 20:45-ზე. ქრონომეტრაჟი 15 წთ.
(კვირას ხუთივე სერიის განმეორებითი ჩვენება).

“წიგნების თარო“-სასკოლო სეზონი - გადაცემა ეთერში შევიდა 14 მარტს. ბადეში განთავსების ადგილი ხუთშაბათი-პარასკევი, 20:00 სთ. ქრონომეტრაჟი - 45წთ.

“წიგნების თარო“-სტუდენტური სეზონი - გადაცემა ეთერში შევიდა 16 მარტს. ბადეში განთავსების ადგილი - შაბათი, 20:00 სთ. ქრონომეტრაჟი 56 წთ.

„ხალხური სიმღერის გაკვეთილები“ - პროექტი განთავსებულია როგორც სატელევიზიო, ისე რადიოს საეთერო ბადეში. გადაცემა ეთერში შევიდა 17 მარტს. ბადეში განთავსების ადგილი - კვირა, 08:05 სთ. ქრონომეტრაჟი - 15 წთ.

„რანინა“ II სატელევიზიო სეზონი - გადაცემა ეთერში შევიდა 24 მარტს. ბადეში განთავსების ადგილი - კვირა, 20:00 სთ. ქრონომეტრაჟი 56წთ.

○ *მარკეტინგის სამსახური*

2019 წლის საეთერო სეზონისთვის განისაზღვრა გადაცემების სასაჩუქრე პაკეტების ბრენდირება და მათ შესაძენად ჩატარდა ტენდერი. 2019 წლის განმავლობაში, გადაცემებისთვის, რომელშიც მაღალია საზოგადოების ჩართულობა, ეტაპობრივად ხორციელდება სასაჩუქრე ატრიბუტიკით უზრუნველყოფა.



ბლოკნოტი
და კალამი



ჩანთები

ატრიბუტიკა განსაზღვრულია გადაცემაში მონაწილე გუნდებისთვის. მოთამაშეები, ამ ატრიბუტიკით გადაცემის და პირველი არხის ელჩები და პოპულარიზატორები ხდებიან. გარდა ამისა, ეს ატრიბუტიკა ყველა მოსწავლითვის საუკეთესო საჩუქარია, რისი გამოყენებაც შეუძლიათ სკოლაში და უნივერსიტეტში.



ატრიბუტიკა განსაზღვრულია გადაცემის სტუმრებისთვის. ნივთები დამზადებულია სპეციალურად ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის თემტიკის მიხედვით. თიხის ფიალა, ხის კოვზი, შუშის ბოთლი, ქაღალდის და ტილოს ჩანთა საზოგადოებაში ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას ემსახურება.



მუსიკალური მეგა შოუსათვის „რანინა“ დაზადდა სასაჩუქრე ატრიბუტიკა (მცირე რაოდენობით) მონაწილეთათვის.



პროექტის კასტინგისთვის „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი“ დაზადდა სატრიბუტიკა სპეციალურად მოსწავლეებისთვის. გადაეცემა კასტინგის ეტაპზე მოივლის საქართველოს ყველა რეგიონს, შერჩევამ მონაწილებს ყველა სკოლა და მოსწავლე ქვეყნის მასშტაბით. თითოეულ მათგანს საჭირო და გამოსადეგი ნივთი საჩუქრად გადაეცემა პირველი არხისგან.

2019 წლის პირველ კვარტალში ახალი და მიმდინარე გადაცემების პრომოუშენი მიმდინარეობდა სხვადასხვა სარეკლამო პლატფორმაზე.

ჟურნალში „OK“ განთავსდა შემდეგი გადაცემების და პროექტების საპრომოუშენო მასალები.

- იანვარის ნომერი -წიგნების თარო
- თებერვლის ნომერი-საქართველოს ვარსკვლავი
- მარტი-ლამის შოუ

გარე ვიდეო მონიტორზე, რომელიც განთავსებულია კოსტავას 68-ში, განთავსდა შემდეგი გადაცემების ვიდეორგოლები:

- აკუსტიკა
- წიგნების თარო
- მუსიკის 12 მოციქული
- ღამის შოუ
- იდეალური დედა
- მარტივი ლოგიკა
- მასტერშეფი
- ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?
- რა? სად? როდის?
- რანინა

რადიოებში ფორტუნა, ფორტუნა+ და რადიო „სინერჯი“ განთავსებული იყო შემდეგი გადაცემების აუდიორგოლები:

- აკუსტიკა
- საქართველოს ვარსკვლავი
- რანინა
- ხალხური სიმღერის გაკვეთილები

საქართველოს 5 კინოთეატრში იანვარი, თებერვალი, მარტის პერიოდში განსაზღვრული თანმიმდევრობით იყო განთავსებული შემდეგი პროექტების სარეკლამო რგოლები:

- საქართველოს ვარსკვლავი
- წიგნების თაროს- სტუდენტური
- იდეალური დედა
- რანინა

გადაცემების - „წიგნების თარო“, და „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი“ ვიდეორგოლები ასევე განთავსდა თბილისის გალერიაში მდებარე ვიდეომონიტორებზე.

ვებ გვერდებზე cavea.ge და kinoafisha.ge განთავსებული იყო შემდეგი გადაცემების ბანერები:

- ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?
- წიგნების თარო
- ღამის შოუ
- აკუსტიკა
- მარტივი ლოგიკა

მომზადდა ბრენდირება და დამზადდა შესაბამისი ატრიბუტიკა გადაცემისთვის „ნაშუადღევს“, „ფერმა“, „ღამის შოუ,“ ასევე ევროპის მაუწყებელთა კავშირის რეგიონული კონფერენციისთვის თბილისში.

ასევე, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი წერილების დამუშავება და უკუკავშირის განხორციელება, მათთან საპასუხო კომუნიკაციის, შეხვედრისა და გაშუქების გზით.

o საერთაშორისო მიმართულება

საერთაშორისო მიმართულებით ორგანიზება გაეწია მნიშვნელოვან შეხვედრებს, მიმდინარე ღონისძიებების პარტნიორულ თუ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროპის მაუწყებელთა კავშირის მხარდაჭერით უმასპინძლა რეგიონალურ ვორქშოპს ციფრულ ტრანსფორმაციაზე, სადაც მონაწილეობა 10 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო.

o მივლინებები

3 თვის განმავლობაში (იანვარი-მარტი) მომზადდა 275 სამივლინებო განაცხადი, აქედან შეძენილ იქნა 91 ავიაბილეთი და საზოგადოებრივი მაუწყებლის 438 თანამშრომლისთვის სასტუმრო მომსახურება.



○ კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი


ყოველწლიურად ევროპის მაუწყებელთა კავშირი (EBU) ატარებს წევრი ქვეყნების მედია ბაზრის კვლევას. მარტში ჩვენ მივაწოდეთ საქართველოში არსებული ტელეარხების სარეიტინგო მონაცემები (საშუალო რეიტინგი, ბაზრის წილი, ერთწუთიანი და თხუთმეტწუთიანი მოცვა. აუდიტორია ასაკობრივ და დემოგრაფიულ ჭრილში).

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაშუქებული ინფორმაციის პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის გაზომვის მიზნით მომზადდა პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს მონიტორინგის უწყვეტი პროცესის წარმართვას მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე. ამისათვის შემუშავდა მონიტორინგის კრიტერიუმები, გამოიყო ძირითადი მიმართულებები და კლასტერები. მარტის თვიდან მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა მონიტორინგის ჯგუფის კოორდინაციის და კლასტერების დაზუსტება/შეცვლების პროცესი, მომზადებული ფაილების სისტემატიზაცია და შეხვედრების ორგანიზება. პროექტის შედეგად მიღებული მასალა საშუალებას მოგვცემს გარკვეული პერიოდულობით მომზადდეს ანგარიშები შიდა მოხმარებისთვის, აგრეთვე დამუშავდეს გარე გამოყენებისათვის - არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. პროექტის ტესტირების ეტაპი გვამლევს საშუალებას დავინახოთ ამ მიმართულების შემდგომი განვითარების და პროგრამული უზრუნველყოფის აუცილებლობა. მომზადდა ანგარიში, პირველი არხის პროგრამული მიმართულებების პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობაზე (შედარებითი ანალიზი 2017-2018წწ).

2018 -2019 წწ. საპროგრამო ბადის შედარებითი ანალიზი - პროგრამული მიმართულებების წილის განსაზღვრა პროგრამულ პრიორიტეტებთან მიმართებაში.

2018 წლის მეოთხე კვარტლის და 2019 წლის პირველი კვარტლის შედარებამ გვიჩვენა, რომ 2018 წლის მეოთხე კვარტალში არხის საშუალო რეიტინგი იყო 0.4 %(TMI), 2019 წლის 1 კვარტალში არხის საშუალო რეიტინგი გახდა 1.2%(TVMR), ხოლო წილი (SHR)- 1.8%დან 4.6 % მდე გაიზარდა





○ **სარეკლამო სამსახური**

სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ პირველი კვარტლის კომერციული რეკლამის განთავსების პირობები- სასპონსორო, სარეკლამო შეთავაზებები შემდეგ ტრანსლაციებში: „კალათბურთში 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები“, „ფეხბურთში 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის მატჩები“, „რაგბში მსოფლიო ჩემპიონატი“, „კალათბურთში მსოფლიო ჩემპიონატი“, რაგბში `ევროპის თასის და ტესტ მატჩების` და „მინსკის ოლიმპიადის“, ევროვიზიის საერთაშორისო სიმღერის კონკურსის, ასევე გასართობი გადაცემების სასპონსორო და ინტეგრირების პირობები. ახალ სეზონთან და გადაცემებთან დაკავშირებით გაიმართა ინტენსიური შეხვედრები კომერციულ სექტორთან.

მომსახურეობა გაეწიათ სოციალურ, კომერციულ რეკლამებს, ასევე გასართობ გადაცემებში ინტეგრაციებს.

პირველ კვარტალში სატელევიზიო კომერციულმა რეკლამის საბარტერო მომსახურეობის ღირებულებამ შეადგინა **53 020 ლარი და 02 თეთრი და 3 000 აშშ დოლარი** დღგ-ს ჩათვლით. რადიო რეკლამის ღირებულებამ **6 150,00 ლარი** დღგ-ს ჩათვლით. სატელევიზიო რეკლამის ღირებულებამ- **303 875 ლარი და 66 თეთრი და 31 843 აშშ დოლარი 72 ცენტი** დღგ-ს ჩათვლით.

○

დასახელება	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
ბარტერი	00,00	15 899,98
ტელე განთავსება	10 000,00	70 541,49
რადიო განთავსება	0,00	6 150,00

○

თებერვალი		
დასახელება	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
ბარტერი	1 000,00	24 499,98
ტელე განთავსება	10 000,00	126 459,10
რადიო განთავსება	0,00	0,00

○

მარტი		
დასახელება	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
ბარტერი	2 000,00	12 620,06
ტელე განთავსება	11 843,72	106 875,07
რადიო განთავსება	0,00	0,00

○

პირველი კვარტალი 2019		
დასახელება	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
ბარტერი	3 000,00	53 020,02
ტელე განთავსება	31 843,72	303 875,66
რადიო განთავსება	0,00	6 150,00

მომზადდა 2019 წლის ახალი, გასართობი გადაცემებისა და სპორტული ტრანსლაციების სარეკლამო და სასპონსორო შეთავაზებები.

- ვიზუალური გაფორმების ჯგუფი

საანგარიშო პერიოდში, ვიზუალური გაფორმების სამსახურმა იმუშავა მიმდინარე თუ ახალ პროექტზე. დამზადდა პრომოები და ანონსები ყველა გადაცემისთვის, მხატვრული და დოკუმენტური ფილმებისა და სერიალებისთვის, ახალი პროექტებისა და ღონისძიებებისთვის, მათ შორის, დიდი სპორტული ტრანსლაციებისთვის. შეიქმნა და განხორციელდა ვიზუალური გაფორმების ახალი კონცეფციები. დაიწერა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრომოს, თუ ანონსის ტექსტი. შემუშავდა ონლაინ პლატფორმისთვის გადაცემების ბანერების დიზაინი და შესრულდა სხვადასხვა სახის გრაფიკული სამუშაოები მიმდინარე გადაცემებისა თუ დროებითი პროექტებისთვის.

საერთო ჯამში დამზადდა :

პროდუქტი	რაოდენობა
ახალი გადაცემების სრული შეფუთვა	5
პრომო	16
ანონსი	221
ლოგო	9
ქუდი	6
ტიხარი	9
გრაფიკული ტიხარი	51
ვიდეო ტიხარი	9
საეთერო შეფუვის ელემენტები	8
გრაფიკული ფონი	10
ბანერი (WEB,FB)	21
თიზერი	3
Info - გრაფიკა	26

ჯგუფის მიერ მომზადებული ანონსები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

https://1tv.ge/show/anonsebi/?tab=video&video_category=0

o **მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა-გახმოვანების სამსახური**

მზა პროდუქციის შერჩევისა და გახმოვანების სამსახურმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კომპანია “LLC Ignition“-გან შეისყიდა სერიალები “Good Doctor“ და “Timeless“. კომპანია “Arte France ”-გან დოკუმენტური ფილმები გადაცემისთვის „დოსიე“. კომპანია “Boomerang TV“-გან სერიალი „ძველი ხიდი“ (მე-9-10-ე სეზონები). ასევე, კომპანია “Mediaproduccion, S.L.U.“-გან სერიალი „ექსი და“ (მე-5-6-ე სეზონები).

იტალიურ კომპანია RAI-სგან შესყიდულ იქნა სერიალის ფორმატი “Mamma Imperfetta“, რომლის მიხედვით დამზადდა ქართული სერიალი „იდეალური დედა“.

კომპანია “PGS“-სგან, უკვე არსებული ხელშეკრულების ფარგლებში, მიღებულ იქნა ანიმაციური სერიალის „ელვინი და თახვები“ ახალი სეზონი. ასევე, იტალიური სერიალის „ქალების სამოთხე“ - მესამე სეზონი.

განხორციელდა ფინანსური უზრუნველყოფა კომპანია “Endemol Shine IPB.V.”-სგან შესყიდული ორი ფორმატისთვის- “Crash Struck” (მეორე სეზონი) და “MasterChef”.

პირველმა არხმა “Paramount Pictures“-გან უკვე მიიღო შესყიდული მხატვრული ფილმების მეორე ნაწილი, ასევე, BBC-სგან დოკუმენტური ფილმები და სერიალები - მიმდინარეობს ჩამოტვირთვა და გახმოვანება.

დასრულდა ადამ მიცკევიჩის ინსტიტუტსა და პოლონეთის საზოგადოებრივ მაუწყებელთან დადებული სამმხრივი საბარტერო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული სერიალის ჩამოტვირთვა. სერიალი გახმოვანებულია და მზად არის საეთეროდ.

გახმოვანების ჯგუფმა, 2019 წლის პირველ კვარტალში, გაახმოვანა მხატვრული, დოკუმენტური ფილმები და მხატვრული სერიალები. უკვე საბოლოო სახით, ანუ მასტერინგის ჩათვლით, თარგმნა-გახმოვანების ჯგუფმა შეასრულა **340** საათი. იანვარში გახმოვანდა **107** საათი, თებერვალში **118** საათი, მარტში - **115** საათი. პროდუქციის დიდი ნაწილი გახმოვანებულია ორ ხმაში, მაგრამ მხატვრული ფილმების და სერიალების გარკვეული ნაწილი გახმოვანდა სამ და ოთხ ხმაშიც კი.

o **ონლაინ მედია**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფი აგრძელებს ვებპლატფორმაზე - 1tv.ge მუშაობას. შვიდენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება როგორც

მაუწყებლის ტელე და რადიოგადაცემების ატვირთვა, ასევე დამოუკიდებელი ვებპროექტების წარმოება.

მომხმარებელი კვლავ აქტიურად იყენებს ახალი ამბების მობილურ აპლიკაციას Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

დაიწყო აპლიკაციის „მოქალაქე რეპორტიორი“ ტესტირება. „მოქალაქე რეპორტიორის“ გვერდზე ფოტო და ვიდეო მასალის განთავსება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით.

დაიწყო მუშაობა საქართველოს რადიოს აპლიკაციაზე Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე:

მატება (წინა კვარტალთან შედარებით):

- o **5,48%** - ვიზიტი საიტზე;
- o **3,32%** - უნიკალური მომხმარებელი.

1tv.ge საიტის სტატისტიკა


I კვარტალი 2019	IV კვარტალი 2018
ვიზიტი საიტზე - 7,527,000	ვიზიტი საიტზე - 7,282,178
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) – 66,561	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 63,605
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 84,573	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 79,154
მაქსიმალური მაჩვენებელი - 232,000 (23 მარტი, 2019)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 152,600 (19 ნოემბერი, 2018)

იუთუბარხების სტატისტიკა

I კვარტალი 2019	IV კვარტალი 2018
ნახვა - 20,479,689	ნახვა - 15,131,141
საშუალოდ დღეში ნახვა - 230,108	საშუალოდ დღეში ნახვა - 164,500
მაქსიმალური მაჩვენებელი - 379,534 (24 მარტი, 2018)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 298,473 (28 ოქტომბერი, 2018)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ლიდერია ქართულ მედიაში.

○ ვიზიტები YouTube-არხებზე 2019 წელს



○ **ტოპ20 პოსტი საიტზე
ივარტალი 2019**

1. ახალი ანბები - 1TV	919,376 (12.21%)
2. Live - 1TV	351,531 (4.67%)
3. პირველი არხი - 1TV	74,212 (0.99%)
4. დაბალკვალიფიკური მასწავლებლების სკოლიდან წასვლისა და საპენსიო ასაკის პედაგოგების პენსიაზე გაშვებისთვის სპეციალური შექანიზმი შეიქმნება - 1TV	52,662 (0.70%)
5. ეროვნული გამოცდები 2020 წლიდან სამ საგანში ჩატარდება, ზოგადი უნარების გამოცდა სავალდებულო აღარ იქნება - 1TV	49,808 (0.66%)
6. Новости - 1TV	49,362 (0.66%)
7. გადაცემები - 1TV	46,987 (0.62%)
8. You searched for - 1TV	35,019 (0.47%)
9. სპორტი - 1TV	33,858 (0.45%)
10. მასწავლებლები, რომელთაც სტატუსის შენარჩუნება სურთ და არ აქვთ საკმარისი კრედიტქულები, პროფესიული გადამზადების ტრენინგს გაივლიან - 1TV	33,430 (0.44%)
11. ავტომანქანების სავალდებულო ტექდათვალიერების უფასო ცხელი ხაზი ამოქმედდა - 1TV	29,698 (0.39%)
12. მოამბე - 1TV	29,526 (0.39%)
13. 1 არხი - 1TV	27,582 (0.37%)
14. მე-12 კლასელებისთვის წელს გამოსაშვები გამოცდები აღარ ჩატარდება - 1TV	25,955 (0.34%)
15. Fb-live - 1TV	25,204 (0.33%)
16. იგოეთთან ერთმანეთს 20-ზე მეტი ავტომობილი შეეჯახა [ვიდეო] - 1TV	24,806 (0.33%)
17. მსოფლიო - 1TV	23,405 (0.31%)
18. გარდაიცვალა მსახიობი გურანდა გაბუნია - 1TV	21,794 (0.29%)
19. ბელგიაში 27 წლის ქართველმა ბანკი გვირავის გამოყენებით გაძარცვა [ვიდეო] - 1TV	20,043 (0.27%)
20. „დაუმსახურებლად არაფერი მჭირდება“	19,672 (0.26%)


○ ფეისბუქ-გვერდი - პირველი არხი (2019 წლის პირველი კვარტალი):

ვიდეოების საერთო ნახვა - 26.5 მილიონი - წინა 3 თვესთან შედარებით ნახვები გაზრდილია 60.4%-ით

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 700.4 ათასი - წინა სამ თვესთან შედარებით გაზრდილია 55.1%-ით



გვერდის საერთო ლაიკების რაოდენობა 258,295 - გაზრდილია 18%-ით



ტოპ 3 ვიდეო 2019 წლის პირველ კვარტალში

Video Thumbnail	Video Title	Date	Views	Engagement
	#ახალივეირა შვილისთვის დაწყებული ბიზნესი	03/03/19 10:18 AM	538.6K	458.5K
	#ახალივეირა მამალოების საბავშვო ბიზნესი	02/17/19 10:44 AM	433.3K	333.3K
	მასწავლებლის მსოფლიო ჯილდოს ათეული	02/21/19 9:55 AM	332.1K	381.9K

მედია წარმოების ბლოკი

ზოგად სტატისტიკური მონაცემები

- წარმატებით დასრულდა ყველაზე პოპულარული მუსიკალური ტელეკონკურსი მსოფლიოში „საქართველოს ვარსკვლავი“. შეირჩა საქართველოს ხმა ევროვიზიაზე.
- მაუწყებლობა დაიწყო მეგა შოუმ „რანინა“, რომელიც გამოავლენს საქართველოს წარმომადგენელს 2019 წლის საბავშვო ევროვიზიაზე.
- 2019 წლის მარტში არხის ბადეში “წიგნების თაროს” მე-6 სასკოლო სეზონთან ერთად მე-2 სტუდენტური სეზონიც ჩაეშვა.
- მაუწყებლობა დაიწყო ახალმა შემეცნებით- საგანმანათლებლო პროექტმა „დოსიე“.
- პირველი არხის მაყურებელს მ/წ -ის 4 მარტიდან კვირის დღეებში საშუალება აქვს თვალი ადევნოს ქართულ სერიალს „ იდეალური დედა“ .
- მ/წ -ის თებერვალში ეთერში ჩაეშვა ყოველკვირეული იუმორისტული გადაცემა

„ ღამის შოუ პირველზე“.

- მ/წ-ის თებერვლიდან სატელევიზიო ეთერში ჩაეშვა მუსიკალური ტელეპროექტი -„12 მოციქული“.

მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები - ტელე- პროექტების მიმართულებით

საქართველოს ვარსკვლავი - (ამერიკული American Idol, ბრიტანული Pop Idol -ის - ქართული ანალოგი) ყველაზე პოპულარული მუსიკალური ტელეკონკურსი მსოფლიოში „საქართველოს ვარსკვლავის“ მესამე სეზონი წარმატებით დასრულდა. ეს არის გზა - საქართველოს ყველაზე დიდი სცენიდან - მსოფლიოში ყველაზე დიდ სცენამდე.

განსხვავებული მუსიკალური და საპროდუსერო გამოცდილების მქონე პროფესიული ჟიური არჩევდა კონკურსანტების ძირითად შემადგენლობას, რომელთაგან ერთ-ერთი ტელე-მაყურებლის გადაწყვეტილებით გახდა ერთდროულად „საქართველოს ვარსკვლავის“ გამარჯვებული და ჩვენი ხმა ევროვიზიაზე.

წიგნების თარო - მ/წ-ის მარტის თვეში 1 არხის ბადეში “წიგნების თაროს” მე-6 სასკოლო სეზონთან ერთად მე-2 სტუდენტური სეზონიც ჩაეშვა; შესაბამისად, გადაცემა კვირაში 2 -ის ნაცვლად- 3 დღეა ეთერში. გადაცემის სოციალური ქსელის კონტენტს ახალი საგანმანათლებლო, შემეცნებითი და გასართობი რუბრიკები დაემატა: თაროს კალენდარი, დღის კითხვა, აირჩიე ემოჯით, ლიტერატურული ტესტი. გადაცემის Facebook, Youtube და Instagram გვერდებს დაემატა Linkdin. თიბისიმ გამორჩეულ „თაროელებს“ ერთწლიანი სტიპენდია დაუნიშნა. კონკურენტი ტელევიზიის გადაცემამ “რა დროს ძილია” “წიგნების თაროს” ერთი ბლოკი დაუთმო. Tbilisi Open Air-მა კი, საერთაშორისო ახალგაზრდულმა კინოფესტივალმა “თაობა” და თბილისის წიგნის ფესტივალმა “წიგნების თაროს” საკუთარ ღონისძიებებში მონაწილეობა და საგანგებო კუთხის გამოყოფა შესთავაზეს.

რანინა - პროექტის უნიკალურობიდან, ფორმატიდან და იდეოლოგიიდან გამომდინარე, მაყურებლისთვის და მუსიკალური სფეროს წარმომადგენლებისთვის „რანინა“ იქცა ერთდერთ მუსიკალურ ტელე კონკურსად, რომელიც ზუსტად პასუხობს ქართული მუსიკალური კულტურის და მომავალი თაობის დაკავშირების და განვითარების აუცილებელ იდეას. მით უფრო მაშინ, როდესაც პროექტის ფორმატიდან გამომდინარე, „რანინას“ გამარჯვებული ავტომატურად ხდება საქართველოს წარმომადგენელი საბავშვო ევროვიზიის კონკურსზე. პროექტის

მიზანია, გამოავლინოს საქართველოს წარმომადგენელი 2019 წლის საბავშვო ევროვიზიაზე და მაყურებელს საშუალება მისცეს, 3 თვის განმავლობაში თვალი ადევნოს ამ პროცესს. პროექტისთვის მთელი საქართველოდან შეირჩა 10 საუკეთესო კონკურსანტი.

დოსიე - 2018 წლის მეოთხე კვარტლის კიდევ ერთი სიახლე - გადაცემა „დოსიე“ . საეთერო ბადეში 2019 წელს გაჩნდა ზოლი, სადაც კვირაში ერთხელ ნაჩვენებია სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი, უცხოური წარმოების საინტერესო დოკუმენტური ფილმები. გადაცემის ფორმატის მიხედვით, ყოველკვირეული ფილმის ჩვენებას წინ უძღვის საავტორო მოკლე შესავალი, რომელიც მაყურებელს ეხმარება, ფილმის საშუალებით საკუთარი რეალობის, კულტურის, პრობლემების, აქტუალობის, საკუთარი ისტორიის იდენტიფიცირება მოახდინოს მსოფლიოში მიმდინარე ისტორიულ, სოციალურ - კულტურულ მოვლენებთან. რაც, თავის მხრივ, საზოგადოების უკეთ, სიღრმისეულად ინფორმირებულობასთან ერთად მის მეტ გახსნილობას შეუწყობს ხელს.

„12 მოციქული“ - 2019 წლის პირველ კვარტალში 1 არხის ეთერში მაუწყებლობა დაიწყო მულტიმედიურმა პროექტმა „12 მოციქული“. გადაცემა ემსახურება მუსიკალური ჟანრების პოპულარიზაციას, სადაც ავტორი ცდილობს, ხატოვნად, მსმენელისთვის გასაგებ ენაზე ახსნას მუსიკის იდუმალება, მუსიკა- როგორც რიტუალი, მუსიკალური ინსტრუმენტების გაჩენისა და განვითარების ისტორია. გადაცემის მიზანია, არხის მსმენელის მუსიკალური ამპლიტუდის

გაზრდა, მისი განათლება, გემოვნების ამაღლება და მაღალ ხარისხიანი მუსიკის პოპულარიზაცია. გადაცემის წამყვანია დავით ევგენიძე, რომელიც სტუმართან და თანაწამყვანთან ერთად მუსიკის ტენდენციებს ისტორიის ჭრილში მიმოიხილავს, მუსიკის საფუძვლებზე საუბრობს და მაგალითებით ხსნის ამა თუ იმ მიმართულებას. პროექტი წარმოადგენს ერთგვარ მზადდებას მულტიმედიური ფორმატით - გადის რადიო, ვებ და სატელევიზიო ეთერში.

რეალური სივრცე - აღნიშნულ პერიოდში 8 გადაცემა გავიდა ეთერში და ვებისთვის სამი ეპიზოდი მომზადდა. ყველა სატელევიზიო ეპიზოდი, გარდა ერთისა, მოხვდა რეიტინგის ტოპ ათეულში. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით ჩაატარა კონკურსი "ჟურნალისტები სოციალური ცვლილებებისთვის", რომლის მიზანიც იყო საქართველოს მასშტაბით (ყველა რეგიონში) გამოევილინა ის ჟურნალისტები, რომლებიც რეგულარულად და კომპეტენტურად აშუქებენ სამოქალაქო საზოგადოებას, მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, განვითარების შესაძლებლობებს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას. ამასთანავე, თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან სამოქალაქო საზოგადოების ძირითად ფასეულობებს, იცავენ ჟურნალისტური ეთიკისა და პროფესიონალიზმის მაღალ სტანდარტს. ცენტრალური მედიის ყველაზე ხშირად დასახელებული ჟურნალისტი "რეალური სივრცის" წამყვანი - ნინო ზაუტაშვილი გახდა.

პირადი ექიმი - ყოველდღიური რეიტინგის ანალიზით, საშუალო მონაცემები სტაბილურად ზრდადია. გაიზარდა გადაცემის ფეისბუქ მომხმარებელთა რიცხვი (28,000 დან 49, 000 მდე), შეიქმნა ფეისბუქ აპლიკაცია „აირჩიე შენი თემა“ - მაყურებელს შეუძლია, ჩაერთოს გადაცემის თემის დაგეგმვაში. გადაცემა (როგორც მითითებულ თემაზე ინფორმაციის პირველი მიმწოდებელი ტელევიზორებში) გამოეხმაურა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალურ მიმართვებს და რეკომენდაციებს, აგრეთვე, შემდეგ მნიშვნელოვან თარიღებს: კიბოს მსოფლიო დღე - მე ვარ ადვოკატი და მე ვილაპარაკებ!; ეპილეფსიის დღე; 15 თებერვალი - საშვილოსნოს ყელის კიბოს კვირეული; 18 თებერვალი - ქალის გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჯანმრთელობის ევროპული კვირეული; 28 თებერვალი - იშვიათი დაავადებების დღე; 14 მარტი - თირკმლის მსოფლიო დღე; 21 მარტი - დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე; 22 მარტი - ტუბერკულოზის საერთაშორისო დღე.

კვარტლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სოციალური კამპანიები: „მე დავამარცხე კიბო“; „დღეგრძელობის საიდუმლო“; „ოჯახი“; „პირადი ექიმის გუნდი“; „ომის თაობა“; „შეზღუდული შესაძლებლობები“; „მშობლის დღიური“; „გარემო“. შეიქმნა 60 - ზე მეტი "პირადი ექიმის გუნდი", რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანებს ჯანსაღი ცხოვრების წესის და გადაცემის პრომოციისთვის. გადაცემამ შემოიკრიბა მოსწავლეები (პირველი გიმნაზია, ევროპული სკოლა, ქართული და უცხოენოვანი კონტინგენტი); და

სტუდენტები (დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი), მათთვის გადაცემის ავტორმა და წამყვანმა ჩაატარა საჯარო ლექციები. გადაცემის გუნდმა მარკეტინგის სამსახურთან ერთად მოამზადა პროექტი "პირადი ექიმი ზრუნავს თანამშრომლებზე", რომელიც გულისხმობს საჯარო ლექციებს და კონსულტაციებს ტელევიზიის თანამშრომლებისთვის.

ღამის შოუ - გადაცემა „ღამის შოუ პირველზე“ ყოველკვირეული იუმორისტული გადაცემაა. გადაცემის საფუძვლად აღებულია ამერიკული გვიანი საღამოს სატელევიზიო შოუს ფორმატი. გადაცემის წამყვანია მსახიობი ბაჩო ქაჯაია. შოუს მუსიკალურად აფორმებს ბენდი "ქონექშენი" ია ტომასის ხელმძღვანელობით. გადაცემის პირველი ნაწილი წარმოადგენს იუმორისტულ მონოლოგს აქტუალურ თემებზე. მეორე ნაწილი კი, ეთმობა მოწვეულ სტუმართან (ან სტუმრებთან) ინტერვიუს. ასევე გადაცემაში იქნება მუსიკალური ნომრებიდან იუმორისტული მინი-წარმოდგენები, (საცეკვაო, ან აკრობატული ნომრები), რომლებიც შესრულდება მოწვეული სტუმრის ან მსახიობის ჩართულობით (გადაცემის წამყვანთან და მუსიკალურ ბენდთან ერთად). გადაცემა პირველი არხის ეთერში გადის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს, 23:00 საათზე. „ღამის შოუ პირველზე“ 1 არხის ახალ სატელევიზიო სეზონზე დაიწყო. პირველად გადაცემა ეთერში 14 თებერვალს გავიდა. შვიდი გადაცემის ეთერში გასვლის შედეგად, პროექტს საზოგადოებაში უკვე მაღალი ცნობადობა აქვს, ასევე პოპულარობით სარგებლობს გადაცემა სოციალურ მედიაშიც. გადაცემის „ღამის შოუ პირველზე“ მიმართ საზოგადოების ინტერესი ამ დროისთვის არსებული მონაცემებით მზარდია.

მარტივი ლოგიკა - 2019 წლის პირველი კვარტლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში მომზადდა 25 გადაცემა. მასში მონაწილეობა მიიღო 138-მა ადამიანმა, ხოლო პროექტის ფარგლებში გათამაშდა 25 ათას ლარამდე თანხა. გადაცემა მულტიმედიურ პლატფორმებზე საკმაოდ წარმატებულია. სოციალურ გვერდ Facebook -ზე ამ პერიოდისთვის შოუს 10 000 ლაიქი და გამომწერი მოემატა. ასევე ფეისბუქ სივრცეში გახსნილია „მარტივი ლოგიკის“ ათეულობით ჯგუფი, სადაც მობილური აპლიკაციის მომხმარებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. Youtub არხზე კი, გადაცემის გარკვეული ეპიზოდების ნახვა 20 ათას აჭარბებს, რაც კარგი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული გადაცემების ყურებადობას თამაშის მონაწილეების ცნობადობა არ განსაზღვრავს. 2019 წლის პირველ კვარტალში მობილურ აპლიკაციას სამი ახალი ტური დაემატა და ამ პერიოდში მისი გადმოწერების რიცხვი 180 000-ით გაიზარდა. დღეისათვის კი აპლიკაცია 500 000 უნიკალურ მომხმარებელს აქვს გამოწერილი. თამაში რეგიონის მასშტაბით პირველ ადგილს იკვებს თავსატეხების (ფაზლის) ტიპის მობილური თამაშების რეიტინგში, ხოლო მეორე ადგილს - ზოგადად ყველა მობილური თამაშის რეიტინგში. მობილური აპლიკაციის მეშვეობით ხორციელდება პირველი არხის საანონსო ვიდეორგოლების გაშვება, რომელთა ნახვაც თვის განმავლობაში მილიონებს აჭარბებს, რაც საგრძობლად მაღალი მაჩვენებელია, თუკი ამ ტიპის ვიდეოების ნახვის ზოგად სტატისტიკას გვაითვალისწინებთ.

„მარტივი ლოგიკა“ მულტიმედიურ პლატფორმაზე დაფუძნებული პროექტია. სატელევიზიო ფორმატისა და ინტერნეტში გავრცელებული წამყვანი სათამაშო ტრენდების შერწყმა, მას დიდ უპირატესობას ანიჭებს კონკურენტებთან მიმართებაში. პროექტი ინოვაციურია ქართული ბაზრისათვის და, აქედან გამომდინარე, შესაბამისობაში მოდის საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითად ორიენტირებთან. ალტერნატიული პლატფორმის გამოყენებამ გადაცემას ახალი სიცოცხლე შესძინა. „მარტივი ლოგიკის“ მობილური აპლიკაცია დღეს ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგულია რეგიონში. ეს სტატისტიკა კი, რეალურ საფუძველს ქმნის საზოგადოებრივ მაუწყებლის ბაზაზე წარმოებული პროდუქციის მულტიმედიური განვითარების საერთო მოდელის შესაქმნელად. შესაბამისად, შემდეგ კვარტალში იგეგმება მობილური აპლიკაციის კიდევ 3 განახლება, რაც გაზრდის „მარტივი ლოგიკის“, როგორც გადაცემის, ასევე 1 არხის პოპულარობას.

ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი? - ამერიკული კომპანია Metro Goldwyn Mayer-ის პროექტი "ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?" პირველი არხზე 2018 წლიდან გადის. 2019 წლის პირველ კვარტალში მაყურებელმა ეთერში 13 გადაცემა იხილა. ამ პერიოდში სტუმრების მიერ მოგებულმა თანხამ შეადგინა 40,000 ლარი. პროექტის პირობის თანახმად, თითოეულმა სტუმარმა მოგებული თანხა ქველმოქმედებას მოახმარა და საქართველოს მომავალი თაობის განათლების დონის გაუმჯობესებაზე იზრუნა. მნიშვნელოვანია, რომ ამ პერიოდში „ხარ თუ არა მეექვსე კლასელის“ ეგიდით გადაცემის მონაწილე ცნობილი სახეები დაეხმარნენ - მაღალმთიანი რეგიონის 5 საჯარო სკოლას; 6 ნიჭიერ და გამორჩეულ ბავშვს; ასევე 2019 წლის პირველ კვარტალში მოწვეული იყო 2018 წლის ეროვნული გამოცდების მიხედვით ყველაზე წარმატებული აბიტურიენტი, რომელსაც მოგებული თანხით 10 000 ლარით საზღვარგარეთ სწავლა დაუფინანსდა. 2019 წლის პირველ კვარტალში შოუში მონაწილე ცნობილი სახეები სკოლების გარდა, იმ ნიჭიერი მოსწავლეებისთვის თამაშობდნენ, რომლებიც გარკვეული ნიშნით წარმატებულები არიან, თუმცა, კიდევ უფრო დიდი წარმატების მიღწევაში და საკუთარი ნიჭის გავითარებაში მძიმე სოციალური პირობები უშლით ხელს. აღნიშნული სიახლე განსკუთრებით კარგად მიიღო მაყურებელმა და სოციალურ ქსელში არსებული გამოხმაურებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გადაცემა კიდევ უფრო ინტერაქციული გახდა, რადგან ამ ბავშვების დასახმარებლად არა მხოლოდ ჩვენი მოწვეული სტუმრები, არამედ თვითონ მაყურებელიც გამოთქვამდა სურვილს. აღსანიშნავია, რომ ეს სიახლე ერთგვარი გამოწვევა გახდა შოუში მოწვეული სტუმრებისთვისაც, რადგან ისინი უკვე თავად გამოთქვამდნენ შოუში მოსვლის სურვილს კონკრეტული ბავშვის დამხარების მიზნით. ასეთი აქტიურობა და გადაცემაში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობა არხს ეხმარება მისი შესრულებაში, კონკრეტულად კი, სწავლის რომანტიზებაში და ბავშვებისთვის იმ რწმენის გამყარებაში, რომ თუკი კარგად სწავლობ, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელიც არ უნდა იყო, გამჩნევენ, წარმატებული ხარ და შენ შენი საკუთარი ცოდნით შეგიძლია შეცვალო არა მხოლოდ შენი, არამედ სხვების მომავალიც. ზაფხულის პერიოდში არხი განაახლებს იმ სკოლების ბაზას, რომელსაც რეალურად სჭირდებათ დახმარება და ასევე შევეცდებით, რომ კიდევ უფრო მეტი ნიჭიერი მოსწავლე აღმოავაჩინოთ, რომლებიც ჩვენი, საზოგადოების თანადგომას საჭიროებენ.

ფერმა - 2019 წლის I კვარტლის მონაცემებით ეთერში გავიდა სულ 11 გადაცემა. 1 საახალწლო გადაცემა გამეორდა 13 იანვარს. მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „მესაქონლეობის თემაზე შექმნილი საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრისთვის“ „ფერმის“ ჟურნალისტის, თამთა წერეთლის გამარჯვება. ასევე, ბი-ბი-სი-ს ჟურნალისტის რეკომენდაციით გადაცემის მომზადება საქართველოში მეცხვარეობის განვითარების თემაზე, რამაც მაცურებლის დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა და რაც მაღალ რეიტინგსა და „ფერმის“ ფეისბუქ გვერდის ლაიქებზე და კომენტარებზე აისახა.

რობინ ფორესტერ უოკერთან მუშაობა, მისი გამოცდილების გაზიარება და პრაქტიკული რჩევები დადებითად აისახა მთელი შემოქმედებითი ჯგუფის მუშაობაზე. ახალ რუბრიკაში, სახელწოდებით „სოფლმხედველობა“ წარმოვაჩინეთ სოფლის განვითარებაზე მზრუნველი ახალგაზრდები, მათი მუშაობის შედეგები და ახალგაზრდების სოფლით დაინტერესების დადებითი ტენდენციები. ვაჩვენეთ, როგორ ვითარდება არა მხოლოდ ფერმერული მეურნეობები, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესი. პირველი კვარტლის სამ თვეში გადაცემების მომზადების დროს აქცენტი გაკეთდა ინოვაცორ ფერმერებზე და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, მაგ: ვისკის წარმოება ქვევრში, კენკრის მოყვანის ახალი ტექნოლოგია და სხვა... რუბრიკაში „არტიშოკი“ ხშირად მზადდება სიუჟეტები ქალაქიდან სოფელში დამკვიდრებულ ახალგაზრდებზე, რომლებიც ქმნიან წარმატებულ ფერმერულ მეურნეობებს, რაც კარგ მოტივაციას აძლევს ადგილობრივ ახალგაზრდებს, არ მიატოვონ სოფელი! ასეთი ახალგაზრდების არაერთი წარმატებული მაგალითი გაშუქდა „ფერმაში“.

ფერმის ფეისბუქ გვერდზე გვაქვს ძალიან დიდი გამოხმაურება და დადებითი შეფასებები. როგორც კომენტარების ავტორები აღნიშნავენ, გადაცემა საჭირო და სასარგებლოა, განსაკუთრებით, დამწყები ფერმერების ინფორმირება-კონსულტირების საკითხში, რაც მათთვის საკუთარი მეურნეობების სწორად აწყობის წინაპირობაა! ასევე, გადაცემა ხელს უწყობს აგროსფეროთი ახალგაზრდების დაინტერესებას, აგრარული პროფესიების არჩევას, რაც მანამდე ნაკლებად შეინიშნებოდა და ქალაქელების ჩართვას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

აკუსტიკა - მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობის მუსიკას და მუსიკოსებს. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის იგეგმება მუსიკალური ცოცხალი სესიები, რომელის ნაწილიც უკვე იხილა გადაცემის მაცურებელმა. ეს კი ხელს უწყობს პოპულარული გავხადოთ ეთნიკური მუსიკა, ხელი შევუწყოთ თავად მუსიკოსებს და შემსრულებლებს, ქართულ საზოგადოებაში გზა გავუხსნათ და მივცეთ ფართო ინტეგრაციის საშუალება, და, რაც მთავარია, გავზარდოთ შემოქმედებითი თვალსაწიერი თავად ქართველი შემსრულებლისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ფესტივალი არტგენი დაინტერესდა აკუსტიკის ფორმატით და, შესაბამისად, გადაცემამ მოლაპარაკებების შედეგად 2019 წლის საფესტივალო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. კერძოდ კი, ფესტივალი არტ-გენი 2019 წლის ფორუმის გახსნის დღეს უთმობს მხოლოდ „აკუსტიკას“, სადაც ჩვენი ჯგუფის

ორგანიზებით გაიმართება კონცერტი. მიმდინარე სეზონზე გადაცემის ერთ - ერთი მთავარი პრიორიტეტი ემიგრაციაში მყოფი მუსიკოსების პოპულარიზაციას წარმოადგენს.

ახალი დღე - 1 არხის დილის შემეცნებით- გასართობი ჟანრის გადაცემას წარმოადგენს, რომელიც ახალი შემადგენლობით და ახალი ფორმატით წარმატებით მაუწყებლობს ყოველ დილას 07:30 დან 10:00 მდე და არხის მაყურებლის ინფორმირებასა და გაართობაზეა ორიენტირებული. პროგრამა აგებულია ექსკლუზივებზე, პრემიერებზე, სიახლეებზე. აქტუალური თემები განიხილება სტუმრებთან ერთად. 08.00 და 09.00 სთ-ბზე პროგრამაში ერთვება მოამბე დღის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინფორმაციით.

რა, სად, როდის? - წარმოების ფაზაშია პროექტი **რა, სად, როდის?** ყველაზე მასშტაბური ინტელექტუალური პროექტის ახალი სეზონის ნახვის საშუალება არხის მაყურებელს აპრილიდან შეეძლება.

„კაცები“ - მაუწყებლობას აგრძელებს იუმორისტული თოქ შოუ „კაცები“, სადაც მაყურებელი ისმენს ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე ახალი ამბების იუმორისტულ მიმოხილვას. გადაცემის ჩაწერა ხდება აუდიტორიის თანდასწრებით, „ცოცხალი“, იმპროვიზებული იუმორით.

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ - ზურა ყიფშიძესთან ერთად, გრძელდება ქართველი მსახიობების, რეჟისორების, მოქანდაკეების და ხელოვანების სხვა სფეროს წარმომადგენლების გახსენება. შეიცვალა ეთერში გასვლის დრო, "ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!" ტელემაყურებელს ახალ გადაცემებს, ყოველ კვირას, საღამოს, 18.30 წთ-ზე სთავაზობს.

მომავალი კვარტლის გეგმები (მომავალი კვარტლის სიახლეები; უკვე დაწყებულის განვითარება, სხვა).

- პირადი ექიმი - მზადდება რამდენიმე ახალი რუბრიკა (მაგალითად)- "ტუბერკულოზი განკურნებადია".
- "პირადი ექიმის გუნდებისთვის" მუშავდება ერთობლივი პროექტები.
- გადაცემა პირადი ექიმი დაინტერესებულია და დაგეგმილი აქვს მულტიმედიურ პლატფორმაზე სამედიცინო ვებ-ჟურნალის სახით მაუწყებლობა.

- „რეალური სივრცე“ გარდა ეთერში დისკუსიისა, გეგმავს მიმდინარე თემის გარშემო საჯარო დისკუსიების გამართვას. ეს ღონისძიებები ან ეთერამდე გაიმართება, ან ეთერის შემდეგ, თემიდან გამომდინარე. დარგის ექსპერტები, აქტივისტები, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები და თემით დაინტერესებული ადამიანები ერთად შეიკრიბებიან და კონკრეტულ პრობლემაზე გამართავენ დისკუსიას. შეხვედრის მოდერატორობას „რეალურ სივრცის“ ჯგუფის წევრები გაწევენ. მსგავსი ტიპის შეხვედრები ერთის მხრივ გადაცემის პოპულარიზებაში დაგვეხმარება, მეორე შემთხვევაში - თემის უფრო სიღრმისეულად მოსაკვლევადა. ვფიქრობთ, ეს ყველაფერი, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე მსჯელობას მისცემს ბიძგს.
- „რეალური სივრცე“ გეგმავს ვებისთვის ტრანსმედია პროექტების შექმნას. ჯგუფის რამდენიმე წევრი უკვე მუშაობს ამ მიმართულებით და პროექტის წერის პროცესშია.
- „წიგნების თარო“ აპრილიდან პირველი არხის სივრცეში “მკითხველთა კლუბის” ამუშავებას გეგმავს.
- წიგნების თარო მაისში “წიგნების კითხვის ფესტივალის” ორგანიზება/ დაარსებას გეგმავს.
- წიგნების თარო ივნისში საქართველოს მაღალმთიან რეგიონში საჯარო ლექციების ჩატარებას გეგმავს.
- წიგნების თარო გეგმავს სპეციალური თოქ-შოუს და დოკუმენტური ფილმის “ერთი დღე კემბრიჯში” ჩვენებას.
- „წიგნების თარო“ გეგმავს სოციალურ ქსელში ახალი რუბრიკების დამატებას: ვიდეობლოგი “წიგნების თარო გირჩევთ”, „თაროს ტოპხუთეული“, „თვის თაროელი“.
- „მეექვსე კლასელი“ გეგმავს სტუმრებთან ერთად რეგიონებში ვიზიტს სკოლების დასახმარებლად და მაისი-ივნისის თვეში ქასთინგის გამართვას, რათა სკოლის აქტიური მუშაობის პერიოდში მოხდეს იმ ნიჭიერი ბავშვების გამოვლენა, რომლებიც შემოდგომის სეზონიდან მიიღებენ შოუში მონაწილეობას.
- „მარტივი ლოგიკა“ - 2019 წლის მეორე კვარტალში იგეგმება შოუს სხვადასხვა გარე ღონისძიებებზე ჩართვა. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური ქსელით შემოდის თხოვნები, რომ 18 წლამდე ასაკის ბავშვებს მიეცეს „მარტივი ლოგიკის“ თამაშში ჩართვის უფლება, იგეგმება გადაცემის მეორე კვარტალში, კონკრეტულად, ივნისის თვეში რამდენიმე საბავშვო თამაშის მომზადება.

ტელეფილმები

ზოგადი სტატისტიკური მონაცემები

- დასრულდა ფილმი „ინტერაქტივი“, გავიდა ეთერში 2019 წ-ის 23 თებერვალს;

- დასრულდა დოკუმენტური ფილმი „ვერიკო“ და გავიდა ეთერში 9 მარტი, 2018წ.
- დასრულდა დოკუმენტური ფილმის „სტოკსის“ გადაღებები. ჩაბარდა დამონტაჟებული 5 სერია, მიმდინარეობს დანრჩენილი სერიების მონტაჟი.
- დასრულდა დოკუმენტური ფილმის „უშგული-ჩემი სამოთხე“ მონტაჟი.
- დასრულდა ფილმი „ჯამბაზის კალენდარი (ჯამბაზები)“. მიმდინარეობს ხმასა და ფერების კორექციის სამუშაოები.
- 13.01.- 10.02 2019 წელს გავიდა 20 სერიანი ფილმის „იონას საქართველოს“ 5 ბოლო სერია.
- დასრულდა და ეთერში 02.02. 2019 წელს გავიდა დოკუმენტური ფილმი „შავ-თეთრი“
- დასრულდა ფილმი „უცხო“, ეთერში გავიდა 10.03.2019წ.

მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები

- თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტთან ერთად სადებიუტო მოკლემეტრაჟიან ფილმზე გამოცხადებულ კონკურსში გამოვლინდა 7 გამარჯვებული პროექტი, რომლის დაფინანსება 2019 წელს არის გათვალისწინებული.

დინამიკა: მიმდინარე კვარტალში

ჩაეშვა ახალი და გრძელდება ძველი პროექტები, რომლებიც ჩაეშვა 2019 წლის იანვრიდან.

1. საიდუმლო კარტოთეკა („კრიმინალური საბჭოთა საქართველო,“) - მრავალსერიანი ფილმების ციკლი (ავტ.: მიხეილ ბასილაძე, რეჟისორი: შალვა შენგელი).
2. პრესა და ერი- ოთხ სერიანი ფილმი (ავტ. თამაზ ჯოლოგუა, რეჟისორი ანდრო ჭიაურელი)
3. ბზვანელი (ავტ. ლევან ბზვანელი, რეჟისორი ლევან კიტია)
4. ივანე ბერიტაშვილი (ავტ. არჩილ შუბაშვილი, რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი)
5. თბილისი კართან , 8 სერია (ავტორი აკა მორჩილაძე, რეჟისორი გიორგი ებრალიძე)
6. დაკარგული წიგნები, 10 სერია (ავტორი აკა მორჩილაძე, რეჟისორი გიორგი ებრალიძე)

მომავალი კვარტლის გეგმები (მომავალი კვარტლის სიახლეები; უკვე დაწყებული განვითარება, სხვა).

მომავალ კვარტალში გაგრძელდება ზემოხსენებული პროექტების გადაღებები. გათვალისწინებულია კვლევის ეტაპზე მყოფი კიდევ რამდენიმე პროექტის განვითარება.

ტექნიკური უზრუნველყოფის და წარმოების ბლოკი

ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. 2019 წლის I კვარტალში ქალაქ ქუთაისის პარლამენტის შენობაში საქართველოს პარლამენტის მუშაობის შეწყვეტის გამო, ჩატარდა საზოგადოებრივი მაუწყებლის კუთვნილ სატელევიზიო ინფრასტრუქტურის დემონტაჟი. ზემოაღნიშნული სატელევიზიო აპარატურა შეიფუთა, ჩამოტანილ იქნა თბილისში და დასაწყობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საწყობში.
2. ჩაიდო ახალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი „სს სილკნეტის“ საკაბელო არხში, საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობიდან თბილისის „ივენტ-ჰოლის“ (ფილარმონიის) საკონცერტო დარბაზამდე. ამან საშუალება მოგვცა დაგვეკავშირებინა ჩვენი მოძრავი სატელევიზიო სადგურები მაუწყებლის ცენტრალურ და პირველი არხის გამომშვებ სააპარატოებთან და უზრუნველგვეყო სატელევიზიო შოუ „საქართველოს ვარსკვლავის“ პირდაპირ (ცოცხალ) ეთერში გაშვება.
3. 2019 წლის I კვარტალში საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი სეზონის გადაცემების „რანინა“, „აკუსტიკა“, და „ღამის შოუ“-ს, მაუწყებლის მე 3-ე სტუდიაში ჩაწერების უზრუნველსაყოფად, „ფლაით-ქეისებში“ განთავსებული მოძრავი სატელევიზიო სადგური ე.წ. „პიკი“ ატანილ იქნა მე 3-ე სტუდიის მეორე სართულზე განთავსებულ სტუდიის სარეჟისორო სააპარატოში და დამონტაჟდა იქ სტაციონალურად. სარეჟისორო სააპარატოში დაიდგა ქუთაისის პარლამენტიდან ჩამოტანილი სარეჟისორო მაგიდეები დამზადდა და დამონტაჟდა მონიტორების სტელაჟი და შეძენილ იქნა ვიდეო-აუდიო კაბელები. მე 3-ე სტუდიის პავილიონში დამონტაჟდა აუდიო-ვიდეო და ელექტრო კვების „ვოლ-ბოქსები“, რომელიც აუდიო-ვიდეო და კვების კაბელებით დაუკავშირდა სტუდიის სარეჟისორო-ტექნიკურ სააპარატოს. მე 3-ე სტუდიაში ასევე დამონტა ოთხი დისტანციურად მართვადი ვიდეო-კამერა, რომელიც მოხსნილი იყო ქუთაისის პარლამენტის სასესიო დარბაზში. იმის გამო, რომ არ გაგვაჩნია საკმარისი რაოდენობის HD ვიდეო ჩამწერი მოწყობილობები, იძულებული ვიყავით 5ცალი XDCam-ის ფორმატის ჩამწერი მოწყობილობა მოგვეხსნა არხის დიდი (10-კამერიანი) HD მოძრავი სატელევიზიო სადგურიდან და დაგვემონტაჟებინა ისინი მე 3-ე სტუდიის სააპარატოში. ჩვენი დიდი HD მ.ს.ს.-იდან ასევე მოიხსნა 1ცალი ვიდეო კამერა, რომელიც ასევე დამონტაჟდა მე 3-ე სტუდიაში.
4. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ, „ც“ და მესამე სტუდიებში დამონტაჟდა მაუწყებლის მიერ შეძენილი ახალი „LED“ ეკრანები, რომელიც მეუერთდა შესაბამისი სტუდიების სააპარატოებს.

5. მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურში შეიცვალა დაზიანებული ფირმა “AXON-ის“ წარმოების მოამბის არქივის ჩამწერი მოწყობილობა, რომელიც ასევე ქუთაისიდან არის ჩამოტანილი.

გავრცელების პლატფორმები, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

6. რადიომაუწყებლობა:

- a. მაუწყებლის და ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მონაწილეობით მომზადდა შეთანხმებები მეზობელ სახელმწიფოებთან, რამაც მოგვეცა საშუალება კენტი დაბოლოების მქონე სამუშაო სიხშირეზე ვამუშაოთ ახალციხის და ბათუმის ზონებში არსებული გადამცემები. შესაბამისად, ამ სადგურების სამუშაო სიხშირეები გადაყვანილ იქნა ბრენდულ სამუშაო სიხშირეებზე, ბათუმი -102,3 FM და ახალციხე -102,5 FM.
- b. კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას გაეგზავნა მოთხოვნა FM დიაპაზონში დამატებითი სიხშირეების გამოყოფის შესახებ რადიოს დაფარვის გასაუმჯობესებლად. სიხშირული გეგმა ამ პროექტისათვის ფინალურ სამუშაო სტადიაზეა.
- c. შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ თანამშრომლების მიერ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება რადიოსამაუწყებლო ქსელში 2019 წლის ბოლომდე დასამატებელი FM დიაპაზონის გადამცემი აპარატურის შესყიდვა/შემოტანის და დაგეგმილ საიტებზე ინსტალაციის მიმართულებით. 2019 წლის ბოლოსთვის, რადიოს გავრცელების ხარისხის შესწავლის შედეგად მიღებული სურათის მიხედვით, დაიგეგმება რადიოსამაუწყებლო ქსელის განვითარება 2020 წლისათვის.
- d. რადიოს ნაკადური მაუწყებლობის აუდიო- ვიდეო აპარატურის მოძველებულობის გამო, საჭირო გახდა ახალი მულტიმედიური ტექნიკური პლატფორმის მომზადება ვებსტრიმისათვის. შემოწმდა და მომზადებულ იქნა ინსტალაციისათვის რადიოს სტუდიიდან ვებსტრიმერისათვის ვიდეოსიგნალის მისაწოდებლად განკუთვნილი ახალი მოძრავი კამერები და მართვის პულტი. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში მაღალი გარჩევადობის, HD 1080i/50 სიგნალის ხარისხი იქნება მიღწეული, რაც შეესაბამება მულტიმედიური პლატფორმების თანამედროვე მოთხოვნებს. აქვე, სტუდიაში საჭირო გახდება შესაბამისი პარამეტრების მქონე ვიდეომიქსერის და ტიტრირების/გრაფიკის მანქანის უზრუნველყოფა.

7. ტელემაუწყებლობა:

a. DVB-T2 სატელევიზიო მიმღები მოწყობილობების ხარისხის ზრდა მოითხოვს მაღალი გარჩევადობის პროგრამების ტრანსლირების მაღალ ხარისხს. როგორც დაგეგმილი იყო, 2019 წელს გაიზარდა „პირველი არხის“ ნაკადის შესაბამისი (ბითრეითი) ნაკადური სიჩქარე 1-1,5 მბ/წმ-ით. აღნიშნული ცვლილება საგრძნობლად აუმჯობესებს საერთაშორისო დონის კონცერტების, გამოსვლებისა, თუ სპორტული ღონისძიებების რეპორტაჟების მიღებისას გამოსახულების და თანმდევნი ხმის ხარისხს. დღეისათვის მიღებული პარამეტრების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა აუცილებლობა, დამატებითი ოპტიმიზაცია გაკეთდეს პირველი არხის ხმის გადაცემის წრედებში და DVB-T2 სატელევიზიო მულტიპლექსის გადამცემი „ჰედ-ენდის“ ინკოდირების პლატფორმაში, რაც თანმდევნი ხმის შესაბამისი ნაკადური სიჩქარის ზრდას გულისხმობს.

8. სატელიტური პლატფორმა:

a. 2019 წელს, მაისში ჩასატარებელი საერთაშორისო ღონისძიებების სიგნალების მიმოსვლით უზრუნველყოფისათვის მომზადდა და დაიტესტა 3 სხვადასხვა HD/მაღალი გარჩევადობის სიგნალის შემცველი მულტიპლექს ნაკადის აწევა სატელიტურ ტრანსპოდერზე და მიღება დაშორებულ ლოკაციაში განთავსებულ მს-ში აზერკოსმოსის პლატფორმის გამოყენებით. სატელიტური ჯგუფის თანამშრომლების მიერ აღნიშნული სქემა გამოყენებული იქნება საერთაშორისო „World Run“ აქციის სიგნალების მომსახურებისათვის.

9. **გარვცელების სტრატეგია:** გავრცელების პლატფორმების მიხედვით, სხვადასხვა ამონაცანები დგება სხვადასხვა ოპერატორთან მუშაობისას. ეს ამონაცანები განპირობებულია როგორც კონტენტის ლეგალური გავრცელების ტერიტორიის და ჩვენების პირობების მოთხოვნებით, ასევე მაუწყებლის ფინანსური ინტერესების დაცვის აუცილებლობით. მაუწყებელში მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით მორგებული სტრატეგიის შექმნაზე.

10. მონიტორინგის, ტექნიკური კონტროლის მონაცემები:

2019 წლის დასაწყისში, რადიომაუწყებლობის ქსელის ფუნქციონირების შეფასებისას დაფიქსირებული ხარვეზები უმეტესად სიგნალის მიწოდებასთან იყო დაკავშირებული. ხშირია ელექტროენერჯის მიწოდების წყვეტები DVB-T2 სახმელეთო ციფრული გადამცემის ქსელის მცირე და საშუალო სიმძლავრის საიტებზე და რადიოსამაუწყებლო ქსელის სადგურებზე.

საზოგადოებრივი პროგრამების გავრცელების მონიტორინგის შედეგები 2019 წლის I კვარტალში.

რადიომაუწყებლობა:

2019 წლის პირველ კვარტალში მოსახლეობიდან შემოვიდა 23 ინფორმაცია/ შეტყობინება რადიოგადამცემი მოწყობილობების არადამაკმაყოფილებლად მუშაობის შესახებ.

საერთო შეტყობინებებიდან 11 შემთხვევაში რადიომსმენელი აღნიშნავდა, რომ პროგრამა გადაიცემოდა წყვეტებით / ყველა მათგანი შემოსულია ოზურგეთიდან /.

1 შემთხვევაში სხვა რადიოპროგრამა გადაიცემოდა / ბათუმში /;

1 შემთხვევაში გადამცემი იყო გამორთული / გორში /;

1 შემთხვევაში მსმენელი აღნიშნავდა, რომ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე / თურქეთში, მაჭახელაში / , მისი აზრით, ვერცერთი ქართული რადიოს ხმა საერთოდ ვერ აღწევდა; სასურველი იყო, რომ საქართველოს რადიოს პირველი არხი გავრცელებულიყო ხსენებულ რეგიონში;

ასევე, ერთ შემთხვევაში რადიომსმენელი ხელვაჩაურიდან აღნიშნავდა, რომ ამჟამად კმაყოფილი იყო რადიოს გავრცელებით, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ უფრო უკეთესად გავრცელებულიყო (!).

ერთ შემთხვევაში, რადიოს ხმის ნაცვლად, გადაიცემოდა ტელევიზიის ხმა/ ფოთში /;

ერთ-ერთი მსმენელი აღნიშნავდა, რომ გადაიცემოდა რადიო „სპუტნიკის „ ხმა / ბათუმში /;

FM დიაპაზონის გადამცემების ლუწდაბოლოებიანი მეათედების სიხშირეების კენტდაბოლოებიანებად გადაყვანითი სამუშაოების წარმოებისას ნაწილი მსმენელებისა უჩიოდა გადაცემების ხარისხს; კერძოდ, აღნიშნავდნენ ზედდებებს „ ტკაცუნისა“ და „შრიალის“ სახით. ასეთი სახის პრეტენზიებს მხოლოდ თბილისელი მსმენელი გამოხატავდა. ზარები იყო ფონიჭალიდან / 2 შემთხვევა /; რუსთავიდან / 1 შემთხვევა /;

ვარკეთილიდან / 1 შემთხვევა / და ჩულურეთიდან / 2 შემთხვევა /;

ყველა მათგანს განემარტა ასეთი სახის სამუშაოების წარმოების აუცილებლობა.

ასევე შემოსულია მსმენელთა ზარებიც, რომლებიც უკმაყოფილებას გამოხატავდნენ რადიოს საპროგრამო ბადის შეცვლასთან დაკავშირებით. მათ ვურჩიე მიემართათ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის.

ტელევიზია

საქართველოს ტელერადიოცენტრის ციფრული სამაუწყებლო საბაზისო ქსელის LIVE-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მიღებულია ასეთი შედეგები:

1. ომალოში არ გადაიცემოდა ტელეგადაცემები 74 დღის განმავლობაში;
2. ჩარგალში - 27 დღე;
3. ყველაანში - 11 დღე;
4. უშგულში - 10 დღე;
5. ჯახუნდერში - 10 დღე;
6. ღებში - 9 დღე;
7. მუწდიში - 6 დღე;
8. გლოლაში - 5 დღე;
9. ონში - 3 დღე;
10. ხევში - 3 დღე;
11. უწერაში - 3 დღე;
12. ქედაში - 2 დღე;
13. თიანეთში - 1 დღე;
14. ზესტაფონში - 1 დღე;
15. გუდაურში - 1 დღე;
16. წიფორში - 1 დღე;

დანარჩენი დასახლებული პუნქტებიდან პროგრამების მიუღებლობის შესახებ ინფორმაცია არ შემოსულა.

IT სამსახური

11. დაიგეგმა და განხორციელდა (LAN) ქსელის მონტაჟი მე-2 კორპუსში 30 მომხმარებელზე (პრომო ჯგუფისთვის)
12. გარე პერიმეტრის უსაფრთხოების კამერებისთვის დამონტაჟდა სვიჩი და გაყვანილ იქნა მაგისტრალური ქსელი.
13. გარე პერიმეტრისთვის გაყვანილ იქნა 7 აქტიური (სულ 9) ხაზი (ქსელი) უსაფრთხოების კამერებისთვის 7 აქტიური (9) გარე პერიმეტრზე.
14. გარე პერიმეტრზე დამონტაჟდა და გააქტიურდა 7 ერთეული უსაფრთხოების კამერა.
15. პირველ კორპუსში დაემატა ახალი უსაფრთხოების კამერები
16. მოხდა ერთ-ერთი ქსელური ვიდეო ჩამწერის გამოსწორება და მწყობრში მოყვანა

17. პერიოდულად მოხდება ქსელის გაყვანა და დაემატება შესყიდული ახალი უსაფრთხოების კამერები პირველ, მეორე, და მესამე კორპუსში. ასევე დაემატება გარე პერიმეტრზე.

18. ჩატარებული იქნა ბაზრის კვლევა და გამოცხადდა ტენდერი :

- a. სამონტაჟო და გრაფიკულ სამუშაო სადგურები; (2 ჯერ)
- b. ანტივირუსული სისტემა
- c. კომპიუტერული ტექნიკისთვის მარაგნაწილები
- d. უსაფრთხოების კამერები;
- e. FTP- სერვერის კოლოკაცია;

19. ინტერნეტის ხაზების ოპტიმიზაცია

მაუწყებელში შემომავალი ორი დამოუკიდებელი ინტერნეტ ხაზიდან (ერთი მთავარი მეორე სარეზერვო , რომელთაც ვიყენებდით ცალკ-ცალკე დამოუკიდებელ ხაზებად, მოხდა პროვაიდერთან მოლაპარაკება და ჩვენს სასერვეროში ჩაემატა ახალი მაღალი სტანდარტის და წარმადობის მქონე კომუტატორი, რომლის კონფიგურაციის შედეგად, ერთი ინტერნეტ ხაზის გათიშვის (კაბელის, კომუტატორის, პორტის დაზიანების შემთხვევაში) დროს ავტომატურ რეჟიმში წამის მეასედში მოხდება მეორე სარეზერვო ხაზზე გადასვლა, რაც ზრდის მაუწყებლის თანამშრომლებისთვის სტაბილურად მუშაობის შესაძლებლობას.

20. „EBU “ -ს სერვერის განახლება

მაუწყებელში განთავსებული EBU - ს სერვერები, რომლებიც მოძველებული სისტემის გამო მუშაობდა შენელებულად , მოხდა ოპერაციულის სისტემის განახლება, ასევე EBU - ს წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად განახლდა როგორც სერვერზე არსებული პროგრამა ასევე მომხმარებლის მხარეს დაყენებული „Client Software “ , ასევე მოხდა EBU - ს სერვერების ქსელის ოპტიმიზაცია და ცალკეულ ვირტუალურ ქსელში გადაყვანა, რაც ამცირებს ვირუსებიდან შეტევის ალბათობას. ქსელის, ოპერაციული სისტემის და პროგრამული უზრუნველყოფის განახლების შედეგად, გაიზარდა მომხმარებლების მუშაობის ოპერატიულობა და სტაბილურობა.

21. **კომპანია მაგთისთან დაშიფრული ვირტუალური კავშირი**
 კომპანია მაგთისთან, რომლის კორპორციული კლიენტია საზოგადოებრივი მაუწყებელი, ჩატარდა ტექნიკური სამუშაოები და მოხდა დაშიფრული Virtual Private Network- სერვისის გაშვება. დაშიფრული კავშირის აწყობის აუცილებლობა იყო მუსიკალური მეგაპროექტის „საქართველოს ვარსკვლავი“ - სთვის. კავშირის დამყარებისთვის არსებულ „ ფაირვოლზე “ გაეშვა სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს დაცულ, დაშიფრულ კავშირს ტელევიზიასა და კომპანია მაგთის შორის. დაშიფრული კავშირის არსებობის მოთხოვნა გამოწვეული იყო ორ კომპანიას შორის ინფორმაციის გაცვლისთვის, სხვა მესამე პირების ზემოქმედებისგან დაცვისთვის, რასაც „VPN“ -კავშირი წარმატებით ართმევს თავს.
22. **სამონტაჟოებისთვის NAS Storage-ის ინსტალაცია კონფიგურაცია**
 მუსიკალური მეგაპროექტის „ საქართველოს ვარსკვლავი“ - ისთვის, მოთხოვნის შესაბამისად მოხდა “Nas Storage” -ს ინსტალაცია, კონფიგურაცია. გადაცემისთვის გადაღებული მასალები ინახება მოცემულ საცავში (Storage), რომლის მოცულობა არის დაახლოებით 22 TB, მოცულობა საშუალებას გვაძლევს შევინახოთ და დროებით დავაარქივოთ გადაცემისთვის გადაღებული მასალები. ასევე ზოგიერთ შემთხვევაში ხდება მემონტაჟების ონლაინ მუშაობა, რაც ეხმარება თანამშრომლებს მუშაობის ოპერატიულობაში. საცავი გადაზღვეულია Raid - ის კონფიგურაციით, რაც გვაძლევს საშუალებას მყარი დისკის დაზიანების შემთხვევაში „სტორიჯმა“ შეუფერხებლად გააგრძელოს მუშაობა.
23. **ვირუსული შეტევისგან დაცვა**
 მაუწყებელში განხორციელებული „ვირუსული შეტევისას“ დაზიანდა მნიშვნელოვანი ფაილები და რამდენიმე სერვერი. ჩატარდა ღონისძიებები აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებით. მეილ სერვერის ფაილები და ბაზები, რომლებიც დაშიფრული იყო ვირუსის მიერ, მოხდა სერვერის სრული გადაიარაღება, სერვერის გაწმენდა ვირუსისგან, განახლდა მომხმარებლის პაროლები, მოხდა წვდომის შეზღუდვა სხვადასხვა მომხმარებელზე, გაიწერა კონკრეტული წვდომის წერტილებიდან მომხმარებლების ავტორიზაცია, განახლდა სისტემური ფაილები, თავიდან დაინსტალირდა და გაეშვა მეილ სერვერის კლიენტი და მოხდა „კონსოლი“-ის განახლება, ასევე მეილ სერვერზე მოხდა ეგრეთწოდებული “ repear ”, რა დროსაც დაინსტალირდა ის საჭირო სერვისები რომლებიც მოითხოვდა სერვერის აღდგენისთვის საჭირო ფაილებს. ჩატარებული სამუშაოების შედეგათ სრულად გაიმართა მეილ სერვერი და დღესდღეობით სერვერი უპრობლემოთ მუშაობს სრული დატვირთვით. ასევე მოხდა მეილ სერვერისთვის მოცემულ სამუშაო სადგურზე, ახალი“ ESXi “ -ის

დაყენება და გამართვა, სადაც გაეშვა შედარებით ახალი ოპერაციული სისტემა და მიმდინარეობს სამუშაოები, რათა მოხდეს ამ სამუშაო მანქანაზე მეორე მეილ სერვერის გაშვება, რომ საბოლოოთ მივიღოთ ორი მეილ სერვერი, რომლებიც სინქრონიზაციას გაივლიან ერთმანეთში და ერთის დაზიანების შემთხვევაში მეორე გააგრძელებს მუშაობას, რადგან არ შეწყდეს მაუწყებლის თანამშრომლებისთვის მეილების მიღება გაგზავნის პროცესი.

გარდა მეილ სერვერზე ჩატარებული ხანგრძლივი სამუშაოებისა, მოხდა სხვადასხვა ფაილური სერვერების განახლება, ზოგიერთ სერვერზე სრულიად შეიცვალა სისტემა და დაყენდა შედარებით ახალი ოპერაციული სისტემა, რომელიც თავიდან იქნა დაკონფიგურირებული, როგორც ახალი “File Server” , შესაბამისად მოხდა თითოეული მომხმარებლის პოლიტიკის გაწერა და წვდომა შეზღუდული იქნა სხვა არაავტორიზებული მომხმარებლებისთვის. ასევე ვირუსისგან დაზიანებულ სარეზერვო კოპირების სერვერზე, დაინსტალირდა ახალი სისტემა და გაეშვა ვირტუალური მანქანების სარეზერვო კოპირებისთვის აუცილებელი პროგრამები, გაშვებული სერვისები დაკონფიგურირდა ავტომატურ რეჟიმში მუშაობისთვის, რაც საშუალებას იძლევა მითითებული პერიოდულობით მოახდინოს კონკრეტული ვირტუალური მანქანების კოპირება, რეზერვაცია.

24. Mail Exchange Certificate

მოგეხსენებათ არსებულ Exchange Mail Server -ზე გარე წერტილებიდან წვდომისთვის ვიყენებთ ვებ გვერდიდან წვდომას შემდეგ მისამართზე www.mail.gpb.ge , შესაბამისად ვებ მისამართთან წვდომისათვის აუცილებელია, რომ კავშირი გარე მომხმარებელსა და ჩვენს მეილ მისამართს შორის იყოს დაშიფრული და დაცული, რათა თავიდან იქნას აცილებული პირად მეილებთან მესამე პირის მიერ ინფორმაციასთან მარტივი წვდომა. ამისათვის განახლდა ” SSL Certificate ” რომელიც დაყენებული არის ჩვენი მეილის დომეინზე. შედეგად mail.gpb.ge -ზე წვდომა ხორციელდება დაშიფრული კავშირით HTTPS - პროტოკოლით.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ იურიდიული სამსახურის ანგარიში

1. ხელშეკრულებების შესახებ

2019 წლის პირველ კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 379 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2019 წლის 1-ელი კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	ფ/პ ილია ნატროშვილი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ი. ნატროშვილის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დაეკისრა ი. ნატროშვილის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა</p> <p>- საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი ცნო დაუშვებლად.</p>
2.	ფ/პ ვახტანგ კანდელაკი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. კანდელაკის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დაეკისრა ვ. კანდელაკის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.</p> <p>- ამ ეტაპზე უცნობია, ცნო თუ არა დასაშვებად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო</p>

			საჩივარი
3.	ფ/პ ეკატერინე მიშველაძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, მორალური ზიანის ანაზღაურება, საურავის დარიცხვა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუღებელი ხელფასის გამო	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.</p> <p>– სასამართლოს გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში</p> <p>– სააპელაციო წესით გასაჩივრდა ასევე ე. მიშველაძის მიერ სასამართლო გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი.</p> <p>– თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად,</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ე. მიშველაძის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.</p> <p>- ამ ეტაპზე უცნობია, ცნო თუ არა დასაშვებად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი</p>
4.	ფ/პ ეკატერინე მაჭავარიანი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ე. მაჭავარიანის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში.</p>
5.	ფ/პ ზესიკ შარაშიძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.</p> <p>– თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს</p>

			<p>გადაწყვეტილება. შესაბამისად,</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ბ. შარაშიძის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში</p>
6.	ფ/პ გაგა მოდებამე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად,</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;</p> <p>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე;</p> <p>გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს გ. მოდებამის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.</p> <p>_ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულია საკასაციო წესით.</p> <p>საზოგადოებრივი მაუწყებლის საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად.</p>
7.	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო	საჯარო ინფორმაციის გაცემა	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>_ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p>
8.	ფ/პ ლაშა მესხი	1) შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რითაც განისაზღვრა მისი მოქმედების ვადა 1 თვით; 2) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გენ. დირექტორის	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;</p> <p>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე;</p> <p>გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ლ. მესხის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.</p> <p>დ) ლ. მესხის მიმართ სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი</p>

		გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; 3) სამსახურში აღდგენა; 4) იძულებითი მოცდენის ანაზღაურება; 5) პროფკავშირული საქმიანობის და განსხვავებული შეხედულებების გამო მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა	– სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში – ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში
9.	ფ/პ ავთანდილ მიძიგური	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა
10.	ფ/პ ნუგზარ რუხაძე	საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება	– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
11.	ფ/პ მზია ზაუტაშვილი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი მ. ზაუტაშვილსა და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შორის დადებული შრომის ხელშეკრულების 2.3 და მე-6 პუნქტები და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2017 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 1 დეკემბრამდე. - გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში - ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში
12.	შპს “სტუდია ფონოგრაფი“	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“	– თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.

		მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	
13.	ალექსანდრე ჯანდიერი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
14.	ალექსანდრე ჟღენტი	პლაგიატის აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
15.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-20 ¹ მუხლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
16.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
17.	შპს “Georgian Water & Company“	მიღება ჩაზარების აქტების ბათილობა და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ სასპონსორო ხელშეკრულებიდან გამომდინარე საურავების დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
18.	ალექსანდრე	სამსახურიდან	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო

	ხოჯავა	გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა. ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე; გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ალ. ხოჯავას სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება. _ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდება სააპელაციო სასამართლოში
19.	ა(ა)იპ “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ ვიდეო რგოლის სოციალური რეკლამის სახით ეთერში განთავსების დავალეზა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
20.	ია მახარაძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

21.	<p>1. ალექსანდრე მეტრეველი 2. გიორგი ზანძავა 3. დავით სიმონიშვილი</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ ა) ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადი კომპენსაციის გადახდა. - გადაწყვეტილება გასაჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.</p>
22.	<p>1. გიორგი ბეროზაშვილი 2. ნუგზარ ჩხაიძე 3. გიორგი გოგიაშვილი</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>– გიორგი ბეროზაშვილთან და გიორგი გოგიაშვილთან გაფორმდა მორიგების აქტები და მოსარჩელები აღდგენილი იქნენ საზოგადოებრივ მაუწყებელში - ნ. ჩხაიძესთან მიმართებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა</p>
23.	<p>1. ქეთინო დეკანოზიშვილი 2. ირაკლი მიქიაშვილი 3. ნათია შენგელია 4. ლელა კურდღელაშვილი</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>– ლ. კურდღელაშვილთან გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს აუნაზღაურდა კომპენსაცია. - მორიგების აქტი გაფორმდა ასევე ი. მიქიაშვილთან, რომლის საფუძველზე ი. მიქიაშვილი აღდგენილი იქნა საზოგადოებრივ მაუწყებელში. – ნ. შენგელიასთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: 1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენ. დირექტორის ბრძანება ნ. შენგელიასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ; 2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ნ. შენგელიას სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა. – ქ. დეკანოზიშვილთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: 1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენ. დირექტორის ბრძანება ქ. დეკანოზიშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;</p>

			<p>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ქ. დეკანოზიშვილის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- აღნიშნული გადაწყვეტილებები გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p>
24.	<p>1. ლევან გულბანი 2. ხათუნა ვაშაძე</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ დასრულდა საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში და სარჩელები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს მოსარჩელების მიმართ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p>
25.	<p>1. შალვა სამხარაძე 2. გიორგი ხაჩიძე 3. ზურაბ ეჯოშვილი 4. მზია ბოგვერაძე</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ საქმეები იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.</p>
26.	<p>1. ბესარიონ გელაშვილი 2. ჯაბა კაველიძე 3. ლევან ლეკვეიშვილი</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ ბ. გელაშვილთან გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის საფუძველზეც ის აღდგენილ იქნა საზოგადოებრივ მაუწყებელში</p> <p>_ სხვა მოსარჩელებთან მიმართებაში საქმეები იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.</p>
27.	<p>ირაკლი ჯაფარიძე</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p>

2.2

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	<p>შპს “Georgian Water & Company“</p>	<p>სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 5 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო</p>	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ძირითადი დავალიანების დაკისრების ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად და მოპასუხეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 აშშ დოლარის გადახდა. მოპასუხეს დაეკისრა ასევე პირგასამტეხლო, მხოლოდ შემცირებული განაკვეთით. კერძოდ, ა) 76,50 აშშ დოლარი; ბ) 26.11.2014წ.-დან სასამართლო</p>

		გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება	გადაწყვეტილების აღსრულებამდე 5000 აშშ დოლარის 0,01%-ის გადახდა ყოველ გადაცილებულ დღეზე. - მოპასუხემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში და საქმეს ამ ეტაპზე განიხილავს სააპელაციო სასამართლო
2.	შპს “ტიფლის ტვ“	საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა, მატერიალური ზიანის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. დაწყებულია სააღსრულებო წარმოება. შედეგად: მოპასუხეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ ეკისრება: 6 240 ლარის; 224,64 ლარის; 5 821,92 ლარის; 143,59 ლარის; 401 ლარის; 150 ლარის და 120 ლარის გადახდა.
3.	შპს “სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“	ძირითადი დავალიანების და პირგასამტეხლოს სდაკისრება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ძირითადი დავალიანების ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. პირგასამტეხლოს ნაწილში მისი ოდენობა შემცირდა. მოპასუხის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და შესწორება შეიტანა მხოლოდ პირგასამტეხლოს ნაწილში. საბოლოოდ: მოპასუხეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების ანაზღაურება: ა) 100 ლარის ოდენობით; ბ) 4 800 აშშ დოლარის ოდენობით; გ) 8 775,48 აშშ დოლარის ოდენობით; დ) 141 087,50 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით; ე) 12 828,68 ევროს ოდენობით. მოპასუხეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლო: ა) 92,05 ლარი; ასევე, 02.06.2017წ.-დან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდზე ყოველ გადაცილებულ დღეზე 100 ლარის 0,07%; ბ) 2 619,79 აშშ დოლარი; ასევე, 02.06.2017წ.-დან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდზე ყოველ გადაცილებულ დღეზე 4 800 აშშ დოლარის 0,07%;

